შემოსავლების
სამსახური

# საბაჟო დეპარტამენტი

# ბრძანება N 20331

02/08/2017

**თურქეთის მოქალაქე ომერ სედეფის (Omer Sedef, პას/ნ U01914317, პ/ნ 59737182664) კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ**

საბაჟო გამშვები პუნქტი „ბათუმის პორტის“ კონტროლის ზონაში 2015 წლის 27 აგვისტოდან განთავსებულია თურქეთის მოქალაქე ომერ სედეფის (Omer Sedef, პას/ნ U01914317, პ/ნ 59737182664) კუთვნილი „DAF”-ის მარკის სატვირთო სატრანსპორტო საშუალება ნახევარმისაბმელით (სახელმწიფო №KGBH9568/015BD; შასის №XLRTE47XS0E593817/VK1S338RJPH400124), რომელზეც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 227-ე მუხლის შესაბამისად არ განსაზღვრულა შესაბამისი სასაქონლო ოპერაცია ან ამავე კოდექსის 221-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად არ განუხორციელებია შესაბამისი განკარგვის ღონისძიება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 221-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად მომზადებული საქონლის განკარგვის განზრახვის თაობაზე საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო გამშვები პუნქტი „ბათუმის პორტის“ 2017 წლის 16 მაისის №21-10-14/70319 შეტყობინების გადაცემა თურქეთის მოქალაქე ომერ სედეფისათვის (Omer Sedef, პას/ნ U01914317, პ/ნ 59737182664) ვერ მოხერხდა. იგი არ არის დარეგისტრირებული შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა „ORACLE“-ში. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2017 წლის 1 ივნისის №01/1411 წერილის თანახმად, აღნიშნული პიროვნების საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრაცია სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არ ფიქსირდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეტყობინება, საჯაროდ გავრცელების მიზნით, 2017 წლის 9 ივნისს განთავსდა შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე და ომერ სედეფს მიეცა 30 კალენდარული დღის ვადა საქონლის შესაბამის სასაქონლო ოპერაციაში მოსაქცევად.

ვინაიდან ამოიწურა შეტყობინებით განსაზღვრული ვადა, ხოლო ომერ სედეფს სასაქონლო ოპერაცია არ განუხორციელებია, მიზანშეწონილია საქონლის განკარგვა სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 221-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის დებულების“ მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. თურქეთის მოქალაქე ომერ სედეფის (Omer Sedef, პას/ნ U01914317, პ/ნ 59737182664) მიერ შემოტანილი და საბაჟო გამშვები პუნქტი „ბათუმის პორტის" კონტროლის ზონაში განთავსებული „DAF"-ის მარკის სატვირთო სატრანსპორტო საშუალება ნახევარმისაბმელით (სახელმწიფო №KGBH9568/015BD; შასის №XLRTE47XS0E593817/VK1S338RJPH400124) გადაეცეს სახელმწიფო საკუთრებაში.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის XIV კარით დადგენილი წესით, მისი ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში – წერილობითი ან ელექტრონული ფორმით საჩივრის შემოსავლების სამსახურში (მის: ქ.თბილისი, ვ. გორგასალის ქ. №16 ან ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. №5) წარდგენის გზით. აგრეთვე, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ვახტანგ ლაშქარაძე

საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი